სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

10 სექტემბერი 2025

N 21/8888

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ასლი: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ 2025 წლის პირველ სექტემბერს, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, დაგეგმილ საქმიანობაზე (E-60 ავტომაგისტრალის ნატახტარი - რუსთავის მიმართულების (თბილისის შემოვლითი გზა), ნატახტარი (წიწამური) - ჟინვალის მონაკვეთის მშენებლობა) სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა სკოპინგის დასკვნის მიღების თაობაზე განცხადება და სკოპინგის ანგარიში. განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე https://ei.gov.ge/ka/info/ef9f4a39-fd37-4ba6-b58d-9d91a14847ec.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის განცხადებასთან და თანდართულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარმოადგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2025 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ.ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართება: **2025 წლის 23 სექტემბერს, 10:00 საათზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. საგურამოს ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში; 2025 წლის 23 სექტემბერს, 13:00 საათზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ჭოპორტის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში; 2025 წლის 23 სექტემბერს, 16:00 საათზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ბულაჩაურის საბავშვო ბაღის შენობაში; 2025 წლის 24 სექტემბერს, 11:00 საათზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. არაგვისპირის 300 არაგველის სახელობის კრივის დარბაზის (ადმინისტრაციული ერთეულის შენობის პირველი სართული) შენობაში; 2025 წლის 24 სექტემბერს, 14:00 საათზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის, ჟინვალის კულტურის სახლის შენობაში.** სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად ასევე განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

,,საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანების თანახმად, გზშ-ისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე სკოპინგის ანგარიშისა და გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება, როგორც თქვენი მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდსა და Facebook-ის გვერდზე, აგრეთვე საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს **(სოფ. საგურამო, ჭოპორტი, არაგვისპირი,**

ბულაჩაური, წიწამური, ჯიღაურა, ქუბრიაანთკარი და დაბა ჟინვალი) ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე (მაგ: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

დანართის სახით გიგზავნით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ზემოაღნიშნულ განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და ინფორმაციას საჯარო განხილვის შესახებ.

საჯარო განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს (დ. აღმაშენებლის გამზ. 150, 0112 თბილისი, ელფოსტა: eia@mepa.gov.ge, ტელ: +995 32 2439503/+995 32 2439510).

დანართები:

- საჯარო განხილვის შესახებ განცხადება - 2 გვერდი
- პროექტის დოკუმენტაცია - 4 ფაილი

პატივისცემით,

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/8888-21-2-202509101529

ელექტრონული ხელმოწერა/QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE